# წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა კურორტ გომისმთაზე წყლის პრობლემას მოაგვარებს

ნუგზარ ასათიანი



გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს კურორტ გომისმთის განვითარების თემა წინ წამოიწია. კურორტის კეთილმოწყობაზე ფიქრი იმჟამინდელი ოზურგეთის რაიონის ღირსეულმა ადამიანებმა დაიწყეს. ამ თემაზე კურორტ გომისმთაზე რამდენიმე შეხვედრაც კი გაიმართა. საბედნიეროდ, ყველა ამ შეხვედრას ვესწრებოდი და შესაბამის სტატიებს ვამზადებდი. შეიქმნა გომისმთის განვითარების არაოფიციალური საბჭო, რომელშიც შედიოდნენ: ენერგეტიკოსები რენო ურუშაძე და გურამ ბურჭულაძე; არქიტექტორები საყვალა სალუქვაძე და ოლეგ ჩხაიძე; შემოქმედის კოლმეურნეობის იმჟამინდელი თავკაცი ნიკოლოზ ბურჭულაძე და კიდევ რამდენიმე პირი. პირველი, რაც მათ შეძლეს, ეს იყო ე ბჟუჟჰესიდან ელექტროგადამცემი ხაზის მიყვანა კურორტ გომისმთაზე, თუმცა კურორტის ელექტროფიცირება ვერ მოასწრეს 90-იანი წლების დასაწყისის ცნობილი მოვლენების გამო.

ამჟამად, „ბჟუჟჰესი“-გომისმთის, გაქურდვას გადარჩენილი ელექტროგადმცემი ხიმინჯები „ენერგო პრო ჯორჯიას“ ეკუთვნის....

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, კურორტ გომისმთის განვითარება აქტიურ ფაზაში შევიდა. მოხდა „ბჟუჟჰესი“ -გომისმთის გზის რეაბილიტაცია, რომლის სამუშაოებს ყოველწლიურად ასრულებს შპს „გზამშენი 18“. და რაც ყველაზე მთავარია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაკვეთით 2016 წელს დაიწყო გომისმთის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა. სამშენებლო სამუშაოებს შპს „ნდს მშენებლობა“ (დირექტორი ზურაბ გუგეშაშვილი) აწარმოებს.

ეს უნიკალური პროექტი ზღვის დონიდან 2200-2500 მეტრს სიმაღლეზე ხორციელდება. პროექტის ჯამური ღირებულება 840 000 ლარს შეადგენს, საიდანაც „ნდს მშენებლობამ“ 550 000 ლარის სამუშაოები უნდა შეასრულოს.

გასულ კვირას აღნიშნულ მშენებლობას წელს მეორედ ვესტუმრეთ და მის მიმდინარეობას გავეცანით, მშენებლებს და კურორტის დამსვენებლებს ვესაუბრეთ.

შპს „ნდს მშენებლობა“ სამუშაოთა მწარმოებელი ცეზარ ქერქაძე: —შარშან 200 000 ლარის სამუშაოები შევასრულეთ. გომისმთაზე 18 ოქტომბრამდე დავყავით, მესამე გათოვებამდე. შემდეგ აქ დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა, რადგან ვერ ვიმუშავებდით. წელს მაისში გავაგრძელეთ მუშაობა.

ერთ-ერთი მთავარი ობიექტი, რომელიც დასრულდა, ეს 300 კუბური მეტრი მოცულობის წყალ მიმღები რეზერვუარია. აქვე აშენდა საქლორეტარო, რომელიც კურორტის დასვენებლებისათვის გაფილტრული სასმელი წყლის მიწოდებას უზრუნველყოფს. ობიექტი პროექტის მიხედვით შემოვლობეთ.

პროექტის მიხედვით, წყალსადენის სათავე, კურორტიდან 7,3 კილომეტრის დაშორებით „ჭინჭაოს“ ტბის მიდამოებშია. წელს დიდი თოვლი იდო „ჭინჭაოს“ ტბისაკენ მიმავალ გზაზე და მშენებლებმა ივლისში შეძლეს აქ სამუშაოების დაწყება. ამჟამად წყალ-

გვ-3

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 32 (10226) 21 აგვისტო, 2017 წ. ფასი 50 თეთრი.

## ანასეულში დენდროლოგიური პარკის სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს



ქალაქ ოზურგეთის სავიზიტო ბარათად ცნობილ უბანში, ანასეულში საუკუნოვანი დენდროლოგიური პარკის სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

მიუხედავად აგვისტოს ცხელი დღეებისა, დენდროლოგიური პარკის ეტაპობრივი აღდგენითი სამუშაოებით დაიწყო და წარმატებით ხორციელდება პროექტი „ანასეულის ახალი შესაძლებლობა - ახალი სიცოცხლე“. ძირითადი აქცენტი კეთდება წლების განმავლობაში დაკარგულ მცენარეთა სახეობებსა და ფორმებზე.

„16 აგვისტოს აქ, დენდროპარკის ახალ სკვერში მოვაბრძანეთ და დიდი რუდუნებით დავრგეთ 19 წლის ბუტია პალმა ასაკოვან პალმებს კი ასევე დიდი სიფაქიზით უტარდებათ გასუფთავების სამუშაოები“, - გვითხრა კახა ბენდუქიძის სახელობის საუნივერსიტეტო კამპუსის თავკაცმა თემურ რევიშვილმა, რომელიც იმედოვნებს, რომ ამ ინიციატივას ღირსეული ადამიანები შეუერთდებიან, გახდებიან ანასეულის მეგობრები და ერთად შექმნიან მრავალ სიახლეს.

## გურიაში ცნობილი ბრენდების სამკერვალო ფაბრიკა გაიხსნება

ოზურგეთში „ზარა“, „მანგო“, „ბერშკა“, „მასიმო დუტი“ და სხვა ცნობილი ბრენდების ჯინსები შეიკერება. თურქული კომპანია „Baykanlar“ პირველ ეტაპზე 2 მილიონი ლარის ინვესტიციას განახორციელებს და 300 ადამიანს დაასაქმებს. ხოლო უახლოეს სამ წელიწადში დაგეგმილია სრული სამკერვალო ციკლის შექმნა, ინვესტიციის მოცულობის 15 მილიონ დოლარამდე გაზრდა და 1500-მდე ადამიანის დასაქმება.

ამ საკითხთან დაკავშირებით გასულ კვირაში ამჟამად გურიის ექსგუბერნატორი გია სალუქვაძე, ქალაქ ოზურგეთის მერთან ბეგლარ სიორიძესთან ერთად, შპს „ოზურგეთი გარმენთის“ დამფუძნებელს ოსმან ბაიქანს და კომპანიის დირექტორს ჰაქან ჩობანოღლუს შეხვდა.



როგორც შეხვედრაზე გუბერნატორმა აღნიშნა, აღნიშნული კომპანია საქართველოში სამკერვალო ფაბრიკის გახსნის შესაძლებლობას აქტიურად სწავლობდა და სამუშაო შეხვედრებს სხვადასხვა რეგიონებში მართავდა. გურიაში ჩამოსვლის შემდეგ მათ მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია სამთავრობო პროგრამების და საგადასახადო შეღავათების შესახებ, რომლებსაც მთავრობა ინვესტორებს სთავაზობს. გაეცნენ კომუნალურ ტარიფებს და მხარის ზოგად სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. იმყოფებოდნენ პროფესიულ კოლეჯ „ჰორიზონტში“, სადაც ფაბრიკაში დასასაქმებელი მუშახელის გადამზადება განხორციელდება. სამუშაო ჯგუფმა დაათვალიერა ოზურგეთში არსებული ინფრასტრუქტურა და ის სავარაუდო ადგილები, სადაც ფაბრიკის გახსნა იქნებოდა შესაძლებელი. მოხდა შერჩეული უძრავი ქონების შესწავლა და ნახაზების გაკეთება. სამხარეო ადმინისტრაციასა და თურქული მხარის ინტენსიური თანამშრომლობის შედეგად ფაბრიკის გახსნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებულია.

„ozurgeTi garment“ - ქართული კომპანია უკვე დარეგისტრირებულია. მათ ეკონომიკის სამინისტროს, პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, უძრავი ქონების გადმოცემის თაობაზე უკვე მიმართეს და უახლოეს დღეებში ხელშეკრულებას ხელი ოფიციალურად მოეწერება.

ოსმან ბაიქანი: „საქართველოში პირველად ერთი თვის წინ ჩამოვედით. ოზურგეთში დავათვალიერეთ არსებული ტერიტორიები, შევარჩიეთ და ჩამოვყალიბდით ყოფილი ჩაის ფაბრიკის ტერიტორიაზე, სადაც გავხსნით სამკერვალო ფაბრიკას, რომელშიც შეიკერება ჯინსები და მიეწოდება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ დამკვეთებს, როგორიცაა „ზარა“, „მანგო“, „ბერშკა“, „მასიმო დუტი“ და სხვა ბრენდულ კომპანიებს. საწარმო 2018 წლიდან ამოქმედდება. პირველ ეტაპზე ოზურგეთში იფუნქციონირებს მხოლოდ სამკერვალო ხაზი, ხოლო უახლოეს სამ წელიწადში დაგეგმილია სრული სამკერვალო ციკლის შექმნა, ინვესტიციის მოცულობის 15 მილიონ დოლარამდე გაზრდა და 1500-მდე ადამიანის დასაქმება. გვინდა ამისთვის განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ ბატონ გია სალუქვაძეს, რომელიც პირველივე დღიდან გვერდში გვედგა და ჩვენთან აქტიურად თანამშრომლობდა“.

— ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი არის სამკერვალო საწარმოს აშენება და უმუშევრობის დაძლევა ოზურგეთში, ამას წინ ვერაფერი დაუდგება და ამით ძალიან გახარებული ვარ -გვითხრა გურიის ექს გუბენატორმა გია სალუქვაძემ.

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 50 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2 ლარი,**
**სამი თვით – 6 ლარი,**
**6 თვით –12 ლარი,**
**ერთი წლით – 24 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


### სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani@rambler.ru**
**558 499100**
*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**
*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77



დაინყეთ ყოველი ოიშაბათი ალიონზე

«ალიონით»


## ოზურგეთის ბიბლიოთეკაში შშმ პირებისთვის ლიფტი დამონტაჟდა




**ალიონი.** საქართველოში გაეროს განვითარების (**UNDP**) ფარგლებში გამოცახდებულ საგრანტო კონკურსში ოზურგეთის ბიბლიოთეკამ მიიღო გრანტი („ოზურგეთის ბიბლიოთეკა თანამედროვე გამოწვევათა პირისპირ“) თანხით –93 ათასი ლარი. პროექტის თანადამფინანსებელია ქ. ოზურგეთის მერია.

თუ რას მოხმარდა აღნიშნული თანხა, ამაზე გაზეთ „ალიონს“ ბიბლიოთეკის დირექტორი **ლიკა ბაქანიძე** ესაუბრა:

–პროექტის ფარგლებში მთლიანად შეიცვალა შენობის სახურავი; 2011 წელს ვარშავაში ყოფნისას, ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში ვნახე ლიფტი შშმ პირთათვის. პოლონური გამოცდილება ოზურგეთში განვახორციელე და შევიძინე ლიფტი შშმ პირებისათვის. ამიერიდან მათ საშუალება ექნებათ უფრო აქტიურად ჩაერთონ ჩვენს ღონისძიებებში;

კიდევ ერთი სიახლე– მოეწყო ოთახი ბავშვებისათვის, სადაც მშობლებს საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ გარკვეული დროით დატოვონ ბავშვები. ისინი წაიკითხავენ, ნახავენ მულტფილმებს, გაერთობიან, მოაწყობენ გამოფენებს წაკითხული ზღაპრებიდან შესრულებული ნახატებით და ა.შ.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები სასკოლო და სასოფლო ბიბლიოთეკებისათვის (6 ტრენინგი), საზოგადოებრივი შეხვედრები, ასევე მასობრივი ღონისძიებები (სულ 36 ღონისძიება).

## ხანძარი ნატანებში

**ალიონი.** სოფელ ნატანებში ხანძრის შედეგად საცხოვრებელი სახლის გარეშე დარჩენილ ოჯახს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა დაეხმარება

ხანძრის შედეგად სოფელ ნატანებში გულიტაშვილების საცხოვრებელი სახლი დაიწვა. ცეცხლი ნარუჯის უბანში, გუშინ გვიან ღამით გაჩნდა. ოჯახის წევრები ხანძრის დროს სახლში არ იმყოფებოდნენ. როგორც დაზარალებულები ამბობენ, ცეცხლი, სავარაუდოდ, ელექტროგაყვანილობას გაუჩნდა. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის. დამწვარია საცხოვრებელი სახლის ნაწილი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ავეჯი. შემთხვევის ადგილზე სახანძრო სამაშველო სამსახური გამოძახებიდან დროულად მივიდა. მიუხედავად ამისა, სახლის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ადგილზე იმყოფებოდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები: არჩილ ყაზაიშვილი და გიორგი ღურჯუმელიძე, ასევე ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი გოჩა აბაშმაძე.

დაზარალებულებს მუნიციპალიტეტის გამგეობა შესაბამის დახმარებას გაუწევს. ოჯახი დროებით, ახალ საცხოვრებელ სახლში გადავა, რომლის ქირასაც მუნიციპალიტეტი გადაიხდის. გაეწევათ ფულადი დახმარებაც. გარდა ამისა, გულიტაშვილების ოჯახი სამშენებლო მასალებსაც მიიღებს.



## ექიმების უფასო აქცია ოზურგეთში



ქალაქ ოზურგეთში, უფასო სამედიცინო კვლევები და კონსულტაციები ჩატარდა.

ბათუმის საერთაშორისო საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის დირექტორის, პროფესორის ისმეთ-დინდარ მიქელაძის, ჰოსპიტალის კლინიკური დირექტორის ნინო ქაჯაიას და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, მოსახლეობას მედიცინის სხვადასხვა სფეროში უფასო კონსულტაციები გაეწია. გარდა კონსულტაციებისა, მოქალაქეებს სხვადასხვა სახის დიაგნოსტიკა და ექოსკოპიური კვლევები უახლესი აპარატურით ჩაუტარდა.

სამედიცინო აქციაში ქალაქის მერი ბეგლარ სიორიძეც ჩაერთო და მოსახლეობასთან ერთად ექოსკოპიური კვლევა თავადაც ჩაიტარა.

როგორც ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. სწორედ ამიტომაც, ქალაქის მერია აქტიურად აგრძელებს აღნიშნული ტიპის აქციების ორგანიზებას და სოციალური მიმართულებით მოქალაქეებზე ზრუნვას.

წელს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია ორგანიზებას უფასო სამედიცინო აქციას უწევს და პრიორიტეტს ყოველთვის კვალიფიციურ კლინიკებსა და მაღალპროფესიონალი ექიმებისგან დაკომპლექტებულ გუნდს ანიჭებს.

## დაბა ლაითურში წყლის სისტემის მშენებლობა დაიწყო

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაკვეთით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურში წყალსადენის ქსელის მოწყობა დაიწყო. პროექტის ღირებულება 5 200 000 ლარს შეადგენს. მიმდინარე სამუშაოები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, მერაბ ჭანუყვაძემ დაათვალიერა. „ პროექტი უპრეცედენტოა თავისი მასშტაბით. დაბა ლაითურის მოსახლეობას 27-ე წელია სასმელი წყლის პრობლემა აწუხებს. ჩვენი დაპირება იყო, რომ ამ მიმართულებით აქტიურად ვიმუშავებდით და სამუშაოებიც დაიწყო. პროექტის დამფინანსებელია ევროპის საინვესტიციო ბანკი. მშენებლობის ხანგრძლივობა შეადგენს 16 თვეს, რომლის დასრულების შემდეგ ეკოლოგიურად სუფთა, ხარისხიანი სასმელი წყლით 3 400 აბონენტი მომარაგდება,“- განაცხადა გამგებელმა.



## მტვრისა და სიჩუმის მიღმა ჩვენი წარსული, ჩვენი ისტორიაა



ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში დამთავრდა ახალი ფონდსაცავი ოთახის სარემონტო სამუშაოები, რომელიც გაცილებით უფრო დიდი და კომფორტულია, ვიდრე ძველი იყო.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ინვენტარიზაცია და ექსპონატების ფონდის ოთახში გადატანა.

მოგეხსენებათ, 10 ივნისს მოსულმა ძლიერმა ნალექმა ძველ ფონდის ოთახში ჩააღწია და სამწუხაროდ, ზოგი ექსპონატი დაასველა. მუზეუმის თანამშრომელთა თავდაუზოგავი შრომითა და დიდი ძალისხმევით დასველებული ექსპონატები დაზიანებას გადაურჩა. მუზეუმის თანამშრომლები მტვრისა და ნესტისაგან ასუფთავებენ ექსპონატებს და ახალ ფონდსაცავ ოთახში ათავსებენ. ეს ის უნიკალური ნივთებია, რომლებმაც საუკუნეები გამოიარა და საკუთარი ისტორია დღემდე მოგვიტანა. ამიტომაცაა ასე რუდუნებითა და სათუთად დავტრიალებთ ყოველ ნივთს, რომელიც ფასდაუდებელია თავისი ღირებულებით.

დიახ, მტვრისა და სიჩუმის მიღმა ჩვენი წარსული, ჩვენი ისტორიაა. მართალია, ამ ეტაპზე მუზეუმში დაცული ექსპონატები საიმედოდაა შენახული, მაგრამ იმედი გვაქვს ისინი მალე დაუბრუნდებიან გარემონტებულ საგამოფენო დარბაზებს, სადაც ფართო საზოგადოებას შეეძლება მათი ხილვა, მუზეუმი კი დაიბრუნებს მის უპირველეს ფუნქციას.

**ლალი კილაძე,**
დამთვალიერებელზე ორიენტირებული პროგრამების მენეჯერი,

# წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა კურორტ გომისმთაზე წყლის პრობლემას მოაგვარებს



შემკრები №1, №2 ნაგებობა დასრულებულია. აღნიშნული ნაგებობებიდან 89-მმ-იანი მეტალის მილებით წყალს წყალშემკრები რეზერვუარი მიიღებს.

ცეზარ ქერქაძის თქმით, მშენებლებს არ აკლიათ ყურადღება ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან. მერაბ ჭანუყვაძე ხშირადაა მშენებლებთან. ასევე მათ ურთიერთობა აქვთ მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახურთან.

კურორტიდან 2 კილომეტრის დაშორებით, დიდვაკეს დასაწყისში ტექნიკა არხებს თხრის წყლის მილების ჩასაწყობად, ტრაქტორისტი **ივანე კვირიკაშვილი** კახელია, სოფელ ვაქირიდან.

— ჩემი პროფესიის კაცს ხან სად მიწებს მუშაობა და ხან სად. თითქმის საქართველოს ყველა კუთხეს ვიცნობ. ძალიან მოხიბლული ვარ გურიის მთებით. მიხარია, რომ კარგ პროექტს ვახორციელებთ -გვითხრა მან.

თუ როგორ აფასებენ ამ პროექტს, კურორტის დამსვენებლებსაც ვესაუბრეთ.

**ნოდარ ოქროპირიძე,** სოფელ ქობულეთი: —მშენებლები ხარისხიანად მუშაობენ. ყველა ველოდებით ამ პროექტის დასრულებას. წყალი კურორტის პრობლემაა. დიდი მადლობა მთავრობას . იმედი გვაქვს, მომავალ წელს წყალი ონკანში გვექნება.

**ჯემალ ინაიშვილი,** ქობულეთის მუნიციპალიტეტი: —საუკეთესო პროექტია. თანაც ცეზარ ქარქაძე გამოცდილი მშენებელია. სად არ განუხორციელებია მშენებლობა.

მინდა ერთ თემას შევეხო. 1970 წლიდან მქონდა სახლი აქ. საბუთების აღდგენა მინდა, მეუბნებიან: — კურორტის განვითარების გეგმა უნდა მომზადდეს ჯერ. ველოდები...

ამ პროექტის გარშემო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის შემოქმედის ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენელმა **ბესიკ ლომინაძემაც** გაგვიზიარა თავისი აზრი:

— დიდი საქმე კეთდება. იმედი გვაქვს ამას შემდეგი პროექტები მოჰყვება. ძალიან კარგი პიროვნებაა ცეზარ ქერქაძე. რთულ პირობებში მაღალპროფესიულად ასრულებს მის საქმეს. იმედი გვაქვს მშენებლობა მომავალ წელს დასრულდება, რომლის შემდეგ დაიწყება დაქსელვის სამუშაოები. მართალია დაქსელვა არ შედის, კომპანიის ვალდებულებებში, მაგრამ გვპირდებიან, რომ მთავარი რეზერვუარიდან ერთ მთავარ მაგისტრალს გაიყვანენ. მინდა მადლობა გადავუხადო ამ ხალხს.



შპს „ნდს მშენებლობა“ წელსაც კურორზე მესამე მოთოვამდე აპირებს მუშაობას.

ცოცხალი - live

# სამაგალითო ერთობა გურიანთაში ანუ ასე ნანატრი სამოქალაქო აქტივობა და პასუხისმგებლობა

ჩვენი რეალობისათვის მეტად უჩვეულო რამ ხდება გურიანთაში — მოსახლეობა გაერთიანდა სოფლის ყოფილი კულტურის სახლის შენობისა და პროფილის შესანარჩუნებლად.

რატომ და როგორ მოხერხდა ეს ყოველივე? მოგითხრობთ სოფლის გამგებელი, კოტე ჩიკაშუა, გურიანთელები - დავით კვაჭანტირაძე და ბესო კვირკელია. მათივე თხოვნით ხაზს ვუსვამ, ამ ამბავში მთელი სოფელია მთავარი პერსონაჟი. მათ შორის გამოვარჩევ სოფლის დეპუტატს ბონდო ღლონტს, რომელმაც ცდა არ დააკლო შენობის სოფლის საკუთრებაში დარჩენისათვის, დავით დოლიძეს, რომელიც იდეის ავტორი და მოხალისეთა საუკეთესო მობილიზატორი გახლავთ და კოტე კაცაძეს, უნიჭიერეს ელექტროინჟინერს...

ონლაინ ფეისბუქგადაცემა ,,ცოცხალი - IV " № 3 იხილეთ**https://www.facebook.com/lia.kiladze/videos/1642973382388091/**.



**— როგორ მოვიდა ეს იდეა, თეატრი გადმოსულიყო გურიანთაში და ამით გურიანთის კულტურის სახლს სიცოცხლე შეენარჩუნებინა?**

**დავით კვაჭანტირაძე,** სამშენებლო კომპანიის ,,ატუ“ ინჟინერი, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე პასუხისმგებელი: — პირველ რიგში, დიდი მადლობა ყველას, ვინც გვერდით დადგვიდგა და მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში. ჩვენ შეუძლებელი შევძელით ჩევნი სოფლის მკვიდრების დახმარებით.

ისტორია ასე დაიწყო: მე ვხელმძღვანელობ ოზურგეთის თეატრის სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოებს. მოვიდა დათო დოლიძე და მკითხა შესაძლებელი იყო თუ არა თეატრის მეორადი მასალით ჩვენი სოფლის კულტურის სახლის აღდგენა, მისი რესტავრირება. მეორადი მასალა მართლაც საკმარისია, რითაც მეორე, პატარა შენობის აღდგენასაც ვგეგმავთ.

ვესაუბრეთ ბატონებს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს ვასილ ჩიგოგიძესა და თეატრის დირექტორს ზაზა ჯინჭარაძეს. მათი თანხმობის შემდეგ შევიკრიბეთ სოფლის მოსახლეობა, ბატონი დავითის დახმარებით მოვიდა სოფლის ახალგაზრდობა. მთელი სოფელი, კაცი ქუდზე ჩვენს გვერდითაა.

შეიკრიბა თანხები. ჩვენც მოვკიდეთ ხელი ამ საქმიანობას. პირველი ეტაპი შედეგიანად დასრულდა,.

დიდი პატივი გვცა მუნიციპატეტის გამგებელმა ბატონმა მერაბ ჭანუყვაძემ და უზრუნველყო ელექტროენერგიის შემოყვანა შენობაში, სადაც საერთოდ, ელგაყვანილობა არ არსებობდა. დიდი მადლობა მას. არანაირი სხვა თანხა ჩვენ არ გვქონია.

დავით დოლიძის წინადადებით სოფელში ზონების მიხედვით ჩავატარეთ საფეხბურთო ტურნირი, გამარჯვებულ გუნდებს თასები გადაეცათ, დამარცხებულებს - კულტურის სახლის რეაბილიტაციაზე ფიზიკური მუშაობის ვალდებულება, რასაც ხალისით ასრულებდნენ. მანვე შემოგვთავაზა, რომ თეატრს გაწეული თანადგომის სანაცვლოდ, რაც არა მხოლოდ მეორადი მასალის დათმობაში, არამედ დირექციის იმ გადაწყვეტილებაშიც გამოხატა, რომ სახელმწიფო თეატრმა ბინა სამი წლით ჩვენს სოფელში დაიდო, სოფლისაგან საჩუქრად გადაცემოდა მიკროავტობუსი. ეს თანამშრომლებს, დასს გაუადვილებს ტრანსპორტირებას. დღეს უკვე თეატრის განკარგულებაშია ,,მერსედესის“ ფირმის მიკროავტობუსი, რომლის შეძენაში თავისი სასხსრები ჩადო ბატონმა ვასილ ჩიგოგიძემ.

გურიის ერთადერთი სახელმწიფო თეატრის ჩვენს სოფელში სამი წლით დაბინავება სოფლის ცხოვრებას ალამაზებს და აცოცხლებს.

— ჩვენ გავლილი გვაქვს საყოველთაო ნგრევის პერიოდი, ნანგერევები ისევ მრავლად ჩანს, თუნდაც ამ კულტურის სახლის დაზიანბული შენობის სახითაც, ალბათ გაგიჭირდათ ხალხის მობილიზება და მათი დარწმუნება, რომ შეგროვილი თანხა დანიშნულებისამებრ დაიხარჯება.

**ბესო კვირკელია:** - ძალიან ძნელი დასაჯერებელი იყო. ჩვენი თაობა გავიზარდეთ ნგრევის პერიოდში. სოფელში ერთი შენობაც არ აშენებულა გნებავთ ხალხის ან მთავრობის ინიციატივით. დათო დოლიძის დაძახილზე კი შევიკრიბეთ, მაგრამ არავის გვჯეროდა, რომ არაფრიდან რამე გამოვიდოდა ვინმეს დახმარების გარეშე. ჩვენ გადაწყვიტეთ, რომ ამას რამე პარტიულ-პოლიტიკური სახე არ მისცემოდა. თავიდან ენთუზიასტები ცოტა ვიყავით. ნელ-ნელა ხალხი მიხვდა, რომ მხოლოდ ჩვენი იყო მობილიზებული თანხაც, ფიზიკურადაც ჩვენ ვშრომობდით. არამარტო ჩვენი სოფლის ყველა კუთხის მოსახლეობა დაგვიდგა გვერდით, სხვა სოფლიდანაც მოდიოდნენ - ბაილეთი, მერია, კონჭკათი, ხვარბეთი და ნელ-ნელა მივედით ამ ეტაპამდე. ბატონი კოტეც, ჩვენი სოფლის გამგებელი მონაწილეობდა არა მხოლოდ როგორც გამგებელი, არამედ როგორც რიგითი გურიანთელი, რომელსაც უყვარს თავისი სოფელი, ფიზიკურადაც შრომობდა ჩვენს გვერდით.

**— ბატონო კოტე, ნებისმიერ საქვეყნო საქმეს სჭირდება ხელისუფლების თანადგომა, თუ შეიძლება თქვენი როლის შესახებ უფრო ვრცლად მოგვითხრეთ.**

**კოტე ჩიკაშუა:** — ჩემს როლზე რა მოგახსენოთ, მეც ერთ-ერთი რიგითი გურიანთელი ვიყავი ამ მშენებლობაში, მივიღე და დავასაწყობე თეატრიდან გადმოცემული მეორადი მასალა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა ჩვენი კულტურის სახლის შენობა სამი წლის ვადით გადასცა თეატრს სარგებლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ თეატრი განახლებულ შენობაში გადავა, სოფელს კი დარჩება გარემონტებული, გალამაზებული კულტურის სახლი.

მოეწყობა სკვერი, მანქანების სადგომი. ეს ტერიტორია სოფლის სახე იქნება, აქვე გვერდით სკოლაა, გვაქვს ცეკვის წრე... გვინდა გამოცოცხლდეს სოფელი, ინფრასტრუქტურა გაუმჯობესდეს.

ბესო კვირკელია: - შეიძლება ჩვენს სოფელში ამოქმედდეს დრამწრე, რომელიც ადრე შესანიშნავად მუშაობდა. ბავშვების ქალაქში წაყვანა აღარ დარჩეს საჭირო სკოლის გარეთ დამატებითი უნარების შესაძენად, იყოს წინსვლა. მარტო სახელმწიფოს ხომ არ უნდა შევყურებდეთ. ჩვენც, ხალხმაც გავაკეთოთ ჩვენი სოფლისათვის რამე და ეს დავუპირისპიროთ იმ ავადსახსენებელ წლებს. შეიძლება ჩვენი ინიციატივა სხვამც აიტაცოს და შემდეგ ან მთავრობა ან სხვა სპონსორიც გამოჩნდეს, ვინც გულთან მიიტანს სოფლის, ხალხის ბედ-იღბალს.

ბატონმა დავით კვაჭანტირაძემ ახსენა, გვინდა სოფელ ციხისფერდში პატარა კლუბის შენობის სპორტულ კომპლექსად რეაბილიტაცია. იქნება სპონსორიც გამოიჩნდეს და ტრენაჟორების შეძენაში დაგვეხმაროს. ეს ყველასათვის, და განსაკუთრებით ახალი თაობისათვის იქნება უკეთესი, დაინახავენ, რომ რაღაცას სულით და გულით ვაკეთებთ. ეს თანადგომა თეატრით დაიწყო და გაგრძელდება. გურიანთა ასე მოდიოდა.

კოტე ჩიკაშუა: ,, — მართლაც მისაბაძი და შესაშური იყო სოფლის ახალგაზრდობის ენთუზიაზმი, უფროს თაობას ამოუდგნენ გვერდით და ექვსი კამაზი ნაგავი გაიტანეს აქედან. ყველა უანგაროდ შრომობდა. სკოლის მოსწავლეები გაკვეთილების შემდეგ მოდიოდნენ და საღამომდე მუშაობდნენ, რა თქმა უნდა, მათთვის შესაფერ საქმეს ვურჩევდით. ეს მაგალითი იყო - თურმე შეიძლება რაღაცის გაკეთება თუ მოვინდომებთ. სხვადასხვა უბნებიდან მოდიოდა 7-10 კაციანი ჯგუფები, თავიანთი სადილით, ხელსაწყოებით, ლურსმანიც კი მოჰქონდათ.

ალბათ ანალოგიც არ არის რომ სადმე სხვა სოფელში სახელმწიფო პროფესიული თეატრი გადმოდიოდეს. დღეს ბავშვები მიჯაჭვულია ინტერნეტთან, ინფორმაციასაც იღებენ, მაგრამ ცოცხალი სიტყვის, ცოცხალი ხელოვნების ფასი ნაკლებად იციან.

გვ-4

## ცოცხალი - live

# სამაგალითო ერთობა გურიანთაში ანუ ასე ნანატრი სამოქალაქო აქტივობა და პასუხისმგებლობა



ჩემი ბავშვობისას აქ იმართებოდა სპექტაკლები, კონცერტები და დღეს ძალიან მინდა, რომ ბავშვებმა ნახონ რა არის თეატრი.

სხვათაშორის, როცა აქ დავიწყეთ თეატრის მეორადი მასალების შემოტანა ნოემბერში, ზუსტად მეორე დღეს, გვესტუმრა არქეოლოგების ჯგუფი, ორი აკადემიკოსი ვაშნარის გათხრებთან დაკავშირებით და რაც თავის დროზე ჰქონდა ექვთიმე თაყაიშვილს მონახაზი - საეპისკოპოსო ეკლესია, მავზოლეუმი სამი წმინდანის სახელზე და მარტერიუმი, ყველაფერი აღმოჩნდა, კონტურები გაკეთდა. ანალოგი ამასაც არ აქვს საქართველოს საეკლესიო ისტორიაში. ბატონი დავითიც იმყოფებოდა, ტექნიკასაც გვახმარდა. ეს ორი მომენტი დაემთხვა ერთმანეთს. იქაც იყო სოფლის მოსახლეობა და შეძლებისდაგვარად მონაწილეობდა.

— ამიტომ ბრძანებდა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ბატონი ვასო ჩიგოგიძე, რომ თეატრი გადადის არა სოფელში, არამედ გურიის კულტურულ ცენტრში, სოფლის ნაჩუქარ მიკროავტობუსზე თეატრის ემბლემასთან ერთად არის წარწერა - გურიანთავაშნარი.

**ბესო კვირკელია:** ,, - ერთი ინციდენტი შეგვემთხვა, რაც ჩვენი უცოდინარობის ბრალია. ნებართვის შესაბამისად მოვჭერით დაზიანებული ნაძვები და სანამ ერთი ჩვენთაგანი ტრაქტორით მიიტანდა საკუთარ კუსტარულ სახერხამდე და უსასყიდლოდ დახერხავდა, გარემოს დაცვის სამსახურმა დააჯარიმა 2 000 ლარით, რადგან შესაბამისი ნებართვა არ ჰქონდა, იმდენად პატარა სახერხი აქვს არც იცოდა თუ სჭირდებოდა ნებართვა. ჯარიმის გადახდა არის აუცილებელი. სასამართლომც არ გვიშველა, კანონდარღვევა სახეზეა, რაც არ ვიცოდით. არის შესაძლებელი ამ ჯარიმის გაბათილება?

**დათო კვაჭანტირაძე** - ბავშვიანად ყველა გაერთიანებულები ვართ, ნაწილი მშენებლობისა დავამთავრეთ, სპექტაკლიც გაიმართა, ანშლაგიც იყო. ახლა შევეჭიდებით უფრო რთულ საქმიანობას, დიდი დარბაზის, შესაბამისი კომუნიკაციების მოწყობას.

თეატრმაც თავისი მხრიდან ძალაინ დიდი მატერიალურ-ფიზიკური რესურსი ჩადო. ბატონი ვასო მობრძანდა თანხით ხელში როგორც ერთი რიგითი გურიანთელი. დაგვეხმარა სპეციფიკური სამუშაოების ადვილად მოწყობაში. თეატრი სხვა სფეროა და მისი მითითებებით ვხელმძღვანელობდით, თეატრის თანამშრომლებიც შრომობდა ჩვენს გვერდით.

— ვისარგებლებ შემთხვევით და გკითხავთ, თეატრს როდის ექნება ახალი შენობა? ეს ყველას აინტერესებს.

- პროექტი სამ წლიანია, მეცხრე თვეა ვმუშაობთ. მგონი ვადებში ჩავეტევით.

ალბათ ბევრი ფიქრობს, რომ ასეთი რამ აღარ ხდება... ფაქტია, ხალხის ძალით განახლებულ შენობაში, რომელსაც ჯერ კომფორტულობამდე ბევრი აკლია, სექტემბერში ახალი სათეატრო სეზონი გაიხსნება.

**ლია კილაძე.**

## სიმღერასავით დაუბერებელ

# ტრისტან სიხარულიძეს!

## იმღერე, შენ გენაცვალე!

ასეთი სათაურით გულ და კალამ მართალმა, ცნობილმა ქართველმა პოეტმა ჯანსულ ჩარკვიანმა შენს საიმედო სიყრმის მეგობარს, ქართული ხალხური სიმღერების მოამაგეს და პატრონს ანზორ ერქომაიშვილს ლექსი უძღვნა.

ლექსი და სიმღერა! —ზღვის ატალღება, მზის სითბო, მთვარის ნათება, ვარსკვლავთა ციმციმი, ხეთა შრიალი, წყაროს ჩუხჩუხი..რამდენ რამეს შეიძლება შეადარო კოსმოსში აჭრილი ქართული სიმღერა და ლექსი!

შენ, ბედნიერი კაცი ხარ, ტრისტან! შენ სიმღერის სული და გული, საოცრება და დიდოსტატი ხარ!

არასოდეს მიკითხავს შენთვის: როდის დაიწყე სიმღერა?

შენ აკვანშივე მღეროდი, მღეროდი მაშინ, როცა დედის ხმატკბილი ,,იავნანა‘‘ გესმოდა; მღეროდი მაშინ, როცა ბაბუა და მამა ფირალ სისონას ოჯახში გარჯისას რომ უმღეროდნენ.

შენ სიმღერით მოდიხარ ბავშვობიდან... შენი ხმა გასცდა საქართველოს!



შენ ბედნიერი კაცი ხარ, ტრისტან, ლამაზი ოჯახის თავკაცი, დიდი სამეგობროს საამაყო წევრი.

შენ სიყვარულის, ერთგულების, თავდადების სიმღერა ხარ, ტრისტან!

ეს მადლი უფალმა მოგმადლა!

ღმერთმა სათნო გზით გატარა და კვლავაც გატაროს!

ქრისტესმიერი სიყვარულით,
**ეთერ ქადეიშვილი**

# თეატრის დირექტორის ამპლუაში

**განვაგრძობთ ცნობილი ჟურნალისტისა და მთარგმნელის ვაჟა ჟანუყვაძის საარქივო ჩანაწერებიდან პუბლიკაციების ბეჭდვას**

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში სისხლსავსე შემოქმედებითი ცხოვრება ჩქეფდა, - იდგმებოდა ახალი სპექტაკლები...

რეპერტუარის შერჩევა იმ პრინციპით ხდებოდა, რომ სპექტაკლები მაყურებლისთვის შინაარსობრივად საინტერესო და ფინანსურად მომგებიანი ყოფილიყო.

რეპერტუარის განახლებისთვის ვიწვევდით სხვადასხვა რეჟისორებს და მხატვრებს, რასაც ერთგვარი სიახლე შემოჰქონდა ჩვენს საქმიანობაში.

სხვადასხვა რანგისა და მიმართულების რეჟისორებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვნად ზრდიდა მსახიობთა ოსტატობასა და პროფესიონალიზმს.

ჩვენს თეატრში რამდენიმე სპექტაკლი განახორციელეს რეჟისორებმა გრიგოლ ლაღიძემ, ენვერ ჩხაიძემ, ნოდარ დეისაძემ, ნუკრი ჯინჭარაძემ, დიმიტრი კოსტავამ, ვასილ რცხილაძემ და სხვებმა.

სპექტაკლები გამოდიოდა მაყურებლისთვის საინტერესო და თანამედროვეებისათვის შესატყვისი, ოღონდაც შემოქმედებითი ფურორი არც ერთს არ მოუხდენია.

წარსულში ოზურგეთის თეატრალური სინამდვილისთვის ,,ხელთუქმნელი‘‘ სპექტაკლის, - ,,დაჭრილი არწივის‘‘ შემქმნელმა გრიგოლ ლაღიძემაც კი ვეღარ მოახერხა!..

ჩემი მოღვაწეობის პერიოდში დადგმული სპექტაკლებიდან თავიანთი მაღალმხატვრული დონით, რეჟისორული ნამუშევრითა და მსახიობთა საშემსრულებლო ოსტატობით გამოვყოფდი რეჟისორს ნ. იონათაშვილს (გ. ნახუცრიშვილის ,,მოსამართლე‘‘), ს. ახალაძის (შ. დადიანის ,,ნინოშვილის გურია‘‘) და ვ. ჩიგოგიძის (ს. კლდიაშვილის ,,ქამუშაძის გასაჭირი‘‘)...

## მოსაზრებანი თეატრის რაობაზე

მაინც რა არის თეატრი?

სამოთხე თუ ჯოჯოხეთი?

სიხარულის მომნიჭებელი თუ მწუხარების მომგვრელი ფენომენი?!

მე მგონი, ყველაფერი ერთად...

ამიტომაცაა იგი ასე საინტერესო და განუმეორებელი.

მადლობა ღმერთს, რომ ბედმა წილად მარგუნა თუნდაც ხუთი წლით მემუშავა ამ იდუმალ სამყაროში, ამესრულებინა თეატრისადმი ლტოლვის ბავშვობისდროინდელი სურვილი და სრულად შემესვა ის სამსალა, რომელსაც თეატრის მომხიბვლელი მუზა უმზადებს მასზე უსაზღვროდ შეყვარებულ ადამიანს (მით უმეტეს, თუ იგი ხელმძღვანელია)...

ამ დროის განმავლობაში უფრო ახლოს გავიცანი შემოქმედებით სფეროში დასაქმებული ადამიანები...

ბევრი კარგი პიროვნება გავიცანი; ზოგიერთმა გულიც მატკინა... მაგრამ, აბა, რას იზამ, - ცუდი რომ არ იყოს, კარგის დაფასებას ხომ ვერ შევძლებდით?.. იმ ცუდშიც ყოველთვის ვერიდებოდი უკეთურის ამოცნობას და არასოდეს სამაგიერო შესაბამისი უკეთური საქციელით არავისთვის გადამიხდია, რადგან უშეცდომოდ ჩემი თავიც არასდროს დამიგულებია...

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრი, ჩემი შეფასებით, ერთიანი, ჯანსაღი კოლექტივია, რომელსაც ვერასდროს მიაყენებს ზიანს ვერავითარი დროებით გაჩენილი ბზარი.

...ზემოთ თეატრის მსახიობები ჩამოვთვალე.

აქ მაინც მინდა ზოგიერთ მათგანზე შევჩერდე და დავახასიათო, რადგან ვფიქრობ, ამით დასის ძირითად დამახასიათებელ სურათს წარმოგიდგენთ. თეატრის ხელმძღვანელობა ყოველთვის ცდილობდა ყველაფერში ზედმიწევნით დაეცვა ზომიერება და ეთიკის ნორმები.

გვიყვარდა პურ-მარილი, - როგორც სტუმრის მიღება-გასტუმრების დროს, ისე შინაურული ურთიერთობისას, ოღონდაც სასტიკად ვებრძოდით ლოთობას და სამუშაო დისციპლინის დარღვევას.

ერთხელ თვითონ შემოქმედებითმა კოლექტივმა ვერ იგუა ამ ნორმების დამრღვევი რამდენიმე პიროვნება და იგი დასიდან მოიკვეთა, თუმცა ამგვარი შემთხვევა იშვიათობა გახლდათ.

სცენის ნამდვილი მშვენება გახლდათ საქართველოს სახალხო არტისტი ლამარა თურმანიძე. იგი უკვე სოლიდურ ასაკში გახლდათ, მაგრამ მაინც ახალგაზრდული შემართებით აგრძელებდა მსახიობურ საქმიანობას.

რამდენი შემოქმედებითი შტრიხი უკავშირდებოდა რომან ლომინაძის სახელს, რომელმაც თავისი შინაარსიანი ცხოვრება ოზურგეთის თეატრში გაატარა. თუმცა, თავისი ჭეშმარიტი ხელოვნებით იგი დაამშვენებდა რესპუბლიკის ნებისმიერ თეატრს.

მას მხარს უმშვენებდა შესანიშნავი მეუღლე და მსახიობი ანა ანდღულაძე. მათი თეატრალური ოჯახის კარი მუდამ ღია იყო როგორც შინაურებისათვის, ასევე თეატრის სასურველი სტუმრებისათვის.

ამ ჭერმაღალ ოჯახში ხშირად იმართებოდა საპრემიერო ბანკეტები და სახალისო შეხვედრები.

თვითონ ბატონი რომანი არ სვამდა თავისი სოლიდური ასაკის გამო, მაგრამ მოცალეობის ჟამს ხშირად იყო ,,ვარიანტის ამგდები‘‘ და ქეიფის მესვეური.

დაგვპატიჟებდა ნანადირევზე, მაგრამ ნანადირევი ხან ერთი კინკილა მწყერი ან ორიოდე თევზი გამოდგებოდა... სამაგიეროდ, სუფრას მუდამ ამშვენებდა მის მიერ დაწურული ჩინებული ღვინო და ქალბატონი ანას მომზადებული ნუგბარი ნუზლი...

ხშირი იყო ჩვენი შეხვედრები თეატრის მძღოლ ოთარ ელიაძესთან;

ასევე ენამოსწრებულ მსახიობ გივი ახმეტელთან, ჩვენი რაიონის სიძესთან. იგი სულ ახალგაზრდა მოვიდა თეატრში და ისე მოეწონა ოზურგეთი, მას მერე ამ თბილისელ კაცს აქედან ფეხი აღარ გაუდგამს...

მახსოვს, გაზეთის რედაქციაში რომ ვმუშაობდი, პირველი რეცენზია გრ. ლაღიძის დადგმულ ფ. შილერის პიესაზე (,,ვერაგობა და სიყვარული‘‘) დავწერე, სადაც გივი ფერდინანდის, ხოლო ლუიზას როლს ეთერ მუჩიაური ასრულებდა... ეს კახელი გოგონაც ჩვენი რაიონის რძალი გახდა...

ერთმანეთთს ვხვდებოდით სადადგმო ნაწილის გამგის რეზო სარიშვილის ოჯახში და არცთუ იშვიათად, სოფელ შემოქმედში მდებარე ჩემს ოჯახში, სადაც ბიჭები ისე გაუშინაურდნენ მამიდაჩემს, დაურიდებლად სტუმრობდნენ ჩემეულ მარანს.

ერთობ სასიამოვნო იყო ჩვენს სუფრასთან ყოფნა, - გაბო მდინარაძე, ომარ ურუშაძე, ამირან ქადეიშვილი, გივი ახმეტელი, ნუგზარ ბარამიძე და ზოგიერთი სხვა საშური სმენით დაჯილდოებული ახალგაზრდა... ისეთ სუფრულ სიმღერებს შემოსძახებდნენ ხოლმე, მათ მოსმენას მართლაც არაფერი სჯობდა, ხოლო შემდგომში თეატრის დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა ვასილ ჩიგოგიძემ, დიდებულ ლოტბარ ტრისტან სიხარულიძის ზრუნვამოწადინებით, მათგან ბრწყინვალე საესტრადო ანსამბლი ჩამოაყალიბეს...

ამირან ქადეიშვილმა შემოქმედებითი კარიერა სცენის მუშის საქმიანობიდან დაიწყო და მალე თეატრის წამყვანი მსახიობი გახდა. მას ხელს უწყობდა წარმოსადეგი სასცენო ფაქტურა...

ამირანს გული ერთთავად კინოსაკენ მიუწევდა და კიდევაც მიაღწია საწადელს: მან ქართულ ფილმებში რამდენიმე პირველხარისხოვანი როლი ითამაშა.

ჩემს მოსვლას თეატრის დირექტორის ამპლუაში დაემთხვა ამირანის პირველი გამოძახება ტოტო კალატოზიშვილის ფილმ ,,ციმბირელ პაპაში‘‘, სადაც მან კურა-მუჰამედის ხასიათური როლი განასახიერა...

უკვე შუა თაობას მიეკუთვნებოდა (რა თქმა უნდა, ამგვარი დაყოფა ერთობ პირობითია) თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ზაირა კალანდაძე (თოთიბაძე), რომელიც უდავოდ ნიჭიერ და საიმედო ძალას წარმოადგენდა ოზურგეთის სინამდვილეში.

ე. წ. შუა თაობის მსახიობთაგან თეატრის ბურჯად გაბრიელ მდინარაძე მიმაჩნდა. მან თეატრალური ინსტიტუტი იმ თაობასთან ერთად დაამთავრა, რომელიც 50-იანი წლების დასაწყისში გამოვიდა სასცენო ასპარეზზე და უმალ აგრძნობინა მაყურებელს, რომ სწორედ ისინი იყვნენ ძვირფასი თეატრალური ტრადიციების გამგრძელებელი. მას სავსებით დამსახურებულად მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება.

ნუგზარ ბარამიძე და ომარ ურუშაძე იმხანად სახასიათო პლანის ახალწამოყინჩილებული მსახიობები გახლდათ. უაღრესად მახარებდა, რომ წლების განმავლობაში ორივე თანდათან იზრდებოდა და წამყვან მსახიობთა რიგებში ეწერებოდნენ.

ომარის ძალიან უწყობდა ხელს პლასტიურობა და ბუნებით მომადლებული სასიმღერო ნიჭი. იგი მალე საუკეთესო კომიკოს მსახიობად ჩამოყალიბდა.

**(აღნიშნულ მოგონებათა გაგრძელებას გაზეთის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.)**

# თვითმმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები

| № | დასახელება | მდებარეობა | საკადასტრო კოდი | მიწის ფართი კვმ | „ბე“ 10 % (ლარი) | „ბიჯი“ 5 % (ლარი) | მონაწილის ბილეთი (ლარი) | საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არასასოფლო-სამეურნეო მიწა | ვაკიჯვარი | 26.21.16.083 | 358 | 179 | 89,50 | 50,00 | 1790,00 |
| 2 | არასასოფლო-სამეურნეო მიწა | ნასაკირალი | 26.29.26.019 | 200 | 100 | 50,00 | 50,00 | 1000,00 |

# სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები

| № | დასახელება | მდებარეობა | საკადასტრო კოდი | მიწის ფართი კვმ | „ბე“ 10 % (ლარი) | „ბიჯი“ 5 % (ლარი) | მონაწილის ბილეთი (ლარი) | საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სასოფლო-სამეურნეო მიწა | შრომა | 26.02.23.158 | 2 400 | 120,00 | 60,00 | 50,00 | 1200,00 |
| 2 | სასოფლო-სამეურნეო მიწა | შრომა | 26.02.23.159 | 2 600 | 130,00 | 65,00 | 50,00 | 1300,00 |
| 3 | სასოფლო-სამეურნეო მიწა | შრომა | 26.02.23.157 | 8 000 | 400,00 | 200,00 | 50,00 | 4000,00 |
| 4 | სასოფლო-სამეურნეო მიწა | ძიმითი | 26.10.22.053 | 2 650 | 132,50 | 66,25 | 50,00 | 1325,00 |
| 5 | სასოფლო-სამეურნეო მიწა | ჭანიეთი | 26.15.10.253 | 200 | 20,00 | 10,00 | 50,00 | 200,00 |
| 6 | სასოფლო-სამეურნეო მიწა | გარე სავარგულები | 26.36.14.086 | 2 955 | 147,75 | 73,88 | 50,00 | 1477,50 |
| 7 | სასოფლო-სამეურნეო მიწა | გურიანთა | 26.06.25.322 | 547 | 27,35 | 13,68 | 50,00 | 273,50 |
| 8 | სასოფლო-სამეურნეო მიწა | გურიანთა | 26.06.25.301 | 778 | 35,90 | 17,95 | 50,00 | 359,00 |
| 9 | სასოფლო-სამეურნეო მიწა | ნაგომარი | 26.11.16.073 | 4 556 | 182,24 | 91,12 | 50,00 | 1822,40 |
| 10 | სასოფლო-სამეურნეო მიწა | ნაგომარი | 26.11.16.072 | 4 492 | 179,68 | 89,84 | 50,00 | 1796,80 |
| 11 | სასოფლო-სამეურნეო მიწა | შრომა | 26.02.23.169 | 1 000 | 50,00 | 25,00 | 50,00 | 500,00 |
| 12 | სასოფლო-სამეურნეო მიწა | შრომა | 26.02.23.168 | 3 000 | 150,00 | 75,00 | 50,00 | 1500,00 |
| 13 | სასოფლო-სამეურნეო მიწა | ნატანები | 26.01.75.099 | 2 695 | 134,75 | 67,38 | 50,00 | 1347,50 |
| 14 | სასოფლო-სამეურნეო მიწა | ნატანები | 26.01.75.098 | 3 386 | 139,30 | 69,65 | 50,00 | 1393,00 |
| 15 | სასოფლო-სამეურნეო მიწა | ს. ოზურგეთი | 26.12.16.167 | 6 100 | 305,00 | 152,50 | 50,00 | 3050,00 |
| 16 | სასოფლო-სამეურნეო მიწა | ურეკი | 26.28.21.115 | 618 | 30,90 | 15,45 | 50,00 | 309,00 |
| 17 | სასოფლო-სამეურნეო მიწა | ჭანიეთი | 26.15.11.168 | 2 200 | 110,00 | 55,00 | 50,00 | 1100,00 |
| 18 | სასოფლო-სამეურნეო მიწა | ასკანა | 26.22.15.101 | 4 380 | 219,00 | 109,50 | 50,00 | 2190,00 |
| 19 | სასოფლო-სამეურნეო მიწა | შრომა | 26.34.04.232 | 1 500 | 75,00 | 37,50 | 50,00 | 750,00 |
| 20 | სასოფლო-სამეურნეო მიწა | შრომა | 26.34.04.233 | 5 500 | 275,00 | 137,50 | 50,00 | 2750,00 |

# თვითმმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს განმეორებით აუქციონს

| № | დასახელება | მდებარეობა | საკადასტრო კოდი | მიწის ფართი კვმ | „ბე“ 10 % (ლარი) | „ბიჯი“ 5 % (ლარი) | მონაწილის ბილეთი (ლარი) | საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არასასოფლო-სამეურნეო მიწა | დაბა ნასაკირალი | 26.29.09.029 | 1132 | 1790 | 175,00 | 50,00 | 3500,00 |

# თვითმმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს პირობიან აუქციონს (ამორტიზებული შენობის დემონტაჟი)

| № | დასახელება | მდებარეობა | საკადასტრ კოდი | მირ. შენობის ფართი კვმ | „ბე“ 10 % (ლარი) | „ბიჯი“ 5 % (ლარი) | მონაწილის ბილეთი (ლარი) | საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ყოფილი მაღაზიის შენობა | შრომა | 26.02.22.002 | 119,1 | 59,5 | 29,75 | 50 | 595 |
| | მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსში მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ფართ | | | | | | | |
| 1 | საცხოვრებელი ფართი, ბინა №1 | სოფ. ნატანები | 26.01.72.010.01.001 | 44,63 | 53,56 | 26,78 | 50,00 | 535,56 |
| 2 | საცხოვრებელი ფართი, ბინა №2 | სოფ. ნატანები | 26.01.72.010.01.002 | 54,99 | 65,99 | 32,99 | 50,00 | 659,88 |
| 3 | საცხოვრებელი ფართი, ბინა №3 | სოფ. ნატანები | 26.01.72.010.01.003 | 65,74 | 78,89 | 39,44 | 50,00 | 788,88 |
| 4 | საცხოვრებელი ფართი, ბინა №4 | სოფ. ნატანები | 26.01.72.010.01.004 | 44,63 | 53,56 | 26,78 | 50,00 | 535,56 |
| 5 | საცხოვრებელი ფართი, ბინა №5 | სოფ. ნატანები | 26.01.72.010.01.005 | 54,99 | 65,99 | 32,99 | 50,00 | 659,88 |
| 6 | საცხოვრებელი ფართი, ბინა №6 | სოფ. ნატანები | 26.01.72.010.01.006 | 65,74 | 78,89 | 39,44 | 50,00 | 788,88 |
| 7 | საცხოვრებელი ფართი, ბინა №7 | სოფ. ნატანები | 26.01.72.010.01.007 | 64,56 | 77,47 | 38,74 | 50,00 | 774,72 |
| 8 | საცხოვრებელი ფართი, ბინა №8 | სოფ. ნატანები | 26.01.72.010.01.008 | 99,49 | 119,39 | 59,69 | 50,00 | 1193,88 |
| 9 | საცხოვრებელი ფართი, ბინა №9 | სოფ. ნატანები | 26.01.72.010.01.009 | 64,56 | 77,47 | 38,74 | 50,00 | 774,72 |
| 10 | საცხოვრებელი ფართი, ბინა №10 | სოფ. ნატანები | 26.01.72.010.01.010 | 99,49 | 119,39 | 59,69 | 50,00 | 1193,88 |

# თვითმმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების იჯარით გაცემაზე

| 10 | დასახელება | მდებარეობა | საკადასტრო კოდი | გასაქირავებელი ფართი კვმ | „ბე" 10 % (ლარი) | „ბიჯი" 5 % (ლარი) | მონაწილის ბილეთი (ლარი) | გასაქირავებელი ქონების ღირებულება(ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფართი მუნიციპალურ საკ-ში არსებულ შენობაში | სოფ. შემოქმედი | 26.18.14.153 | 62,70 | 62,70 | 31,35 | 50,00 | 627,00 |
| 2 | ფართი მუნიციპალურ საკ-ში არსებულ შენობაში | სოფ. შემოქმედი | 26.18.14.153 | 23,30 | 23,30 | 11,65 | 50,00 | 233,00 |

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:**

დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განცხადება;

„ბე"-ს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);

მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას (გარდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა) ქონების შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შემძენი შეიძლება იყოს კანონით განსაზღვრული პირი.

"მონაწილის ბილეთის საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემოსავლების ერთიან ანგარიშზე, შემდეგ სახაზინო კოდზე 300903205;"

„ბე"-ს საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემოსავლების ერთიან ანგარიშზე, შემდეგ სახაზინო კოდზე: 300908800

დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიაში"; მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. 1 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა;

"აუქციონში მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 2017 წლის 21 აგვისტოდან 19 სექტემბრის 12 სთ-მდე;"

**აუქციონი ჩატარდება 2017 წლის 19 სექტემბრის, 14 სთ-ზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შენობაში;**

"ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისია"

ტელ: 599 704 770, 595 906 305, 599 333 223."

(ღ)

# სკანვორდი



ფოტომონადირე
მედიკამენტი
ბილიარდის ჯოხი
საფოთიაქო ქსელი
რუსული მოტოციკლი
ქალის სახელი
„დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი
ქალის სახელი თურქულ სერიალებში
სუფთა მოგება ძიუდოში
რუსული მულტფილმის გმირი
ძველი ქუთაისი
კანადის დედაქალაქი
უძველესი სახელმწიფო კავკასიაში
ფლავი
სალვინე
კავშირი
მაგნიტი
ორი ექსვიანი ნარდში
სამაიდო სპორტული თამაში
სოფლის მზე
ლუდი რუსულად
ქვეყანა ჩრდილოეთ ირლანდიაში
გაიძვერა
ვერდის ოპერა
დუმბაძის ცალთვალა გმირი
სასაზღვრე პუნქტი დარიალში
დიდი გორა
დიდი ჭალი
საწამლავი ნივთიერება
ისრის სასროლი იარაღი
მოგება ნარდში
ღრეობა
კლიმატი
ძვირფასი კრისტალი
ბოლნისის საფეხბურთო გუნდი
ქალაქი რაჭაში
კუბის დედაქალაქი
რუსული ავტომობილი
... ხვიტია
ფირმა
მგალობელი ფრინველი

## № 31-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — მიხეილ წიგნაძე; ქართული კინოფილმი — მანანა; ჭაობის მცენარე — ისლი; იმერეთის ერთ-ერთი მუნიციპალიტეტი — ხარაგაული; პირველი სამნიშნა რიცხვი — ასი; განზომილება — სიგანე; ბელგიური რევოლვერი — ნაგანი; ამერიკელი მსახიობი — შერი; სოფელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში — რუხი; მამაკაცის სახელი — ჯუანშერი; ესპანელი ჩოგბურთელი — ნადალი; სიკვდილით სასჯელი იარაღი — გილიოტინა; ... განდი — ინდირა; რძის ნაწარმი — დო; ვრცელი ველი — ტრამალი; მცხუნვარე მზე — თაკარა; გობი — ვარცლი; ძვირფასი თვალი — ლალი; წიწილას შემახილი ჭია; სოფელი სამეგრელოში ბანძა; „დატა თუთაშხიას" პერსონაჟი — ასინეთა; გიორგი შემოკლებით — გია; აშუღი, რომელიც სამ ენაზე წერდა; სამხედრო დანიშნულების თხრილი — სანგარი; გაზაფხულის ყვავილი — ია; დაღესტნელი დიდებული — ნოინი; ხიზილალას ქალაქი - ასტრახანი; მსხვილი მძივი — კრიალოსანი; მავთული — სინა; შემახილი კორიდაში — ოლე; პურის მოსავლის აღება — მკა; კანიდან გამოყოფილი სითხე — ოფლი; ანბანის მე-20 ასო — უ; ლეგენდა — მითი; ქართველი პოლიტიკოსი — რატიანი; თვალის ბუდე — ფოსო; მდინარე ჩინეთში — ხუანხე; თმის საღებავი — ინა; თურქი — ოსმალო

# ქალაქი ოზურგეთი

## სატახტო ვარდანისძე გურიელებისა

(გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ №29-31, 2017 წელი)

რუბრიკას უძღვება მანანა მემარნიშვილი
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის სამუზეუმო საქმის სპეციალისტი


რესტორან „იზაბელას“ მშენებლობა

საქალაქო ცხოვრების თითქმის ორიათასწლოვანი ნაკვალევი იკითხება საკუთრივ ძველი ოზურგეთის სინამდვილეში. გურიის მთავარ გურიელთა ყოფილი სასახლის ნანგრევთა წიაღში. ისევ მოვიხმოთ ღვაწმოსილი ეთნოგრაფი თედო სახოკია, ისევ დავიმოწმოთ ძველი ოზურგეთის ისტორიული ყოფის წარმოსაჩენად მისი დიდებული „მოგზაურობანი“.

ისტორიის ავანსცენაზე დგება გურიის უკანასკნელი და დღემოსწრაფებული მთავარი - მამია მეხუთე გურიელი, რომელიც საკუთარ სიცოცხლეშივე მოესწრო გურიის მხარეში რუსი ხიშტოსანი ეგერების შემოსვალს და ოთხასწლოვანი სამთავრო ხელისუფლების დღეთა მოსწრაფებას.

თედო სახოკია გვაუწყებს: „გურიის უკანასკნელი მთავარი იყო გურიელი მამია V რომელიც ცხოვრობდა ოზურგეთში. 1810 წელს მამიამ აღიარა რუსეთის სუვერენიტეტი. 1826 წლის 20 ნოემბერს მამია გარდაიცვალა... (მის სასახლეში რუსის დრუჟინა ჩადგა) სწორედ იმ გალავანში, სადაც ახლა „დრუჟინა“ დგას, მამია გურიელს თავის სიცოცხლეში მშვენიერი სასახლე აუშენებია... როცა რუსეთი პირველად დაჰპატრონებია გურიას, ეს სასახლე საშინლად გაოხრებული ყოფილა, დიდი შეკეთება სდომებია. დიუბუა დე მონპერესაც უნახავს ეს სასახლე თავისი მოგზაურობის დროს. „დღეს აქა იქ აქვს სახურავი, - ამბობს ფრანგი მოგზაური ამ სასახლის შესახებ, - ჯერ იატაკი დალპობია; ყველაფერი გაოხრდა, გვერდით მოხელეებს საცოდავი ქოხები გაუკეთებიათ, ახლა ამ საუცხოვო შენობის ჩრდილიღა დარჩა. აბანო, გალავანი, ფანჩატურები - სასახლეს რომ ერტყა უკეთეს მდგომარეობაში არ არის... დღეს ამ სასახლისა არაფერია დარჩენილა. გალავანი ნახევრად დანგრეულია, მთავრის აბანო „დრუჟინას“ ზოგი საკუჭნაოდ და ზოგიც შეშის საწყობებად აქვს გადაქცეული176“.

1897 წლ;ის ზაფხულიდან, - გურიაში თედო სახოკიას მოგზაურობიდან ვიდრე 1957 წლის ოქტომბრამდე მოაღწია მამია გურიელის ყოფილმა სასახლემ. 1957 წლის ოქტომბერში რაიონული ხელისუფლების გადაწყვეტილებით, რასაც საფუძვლად ედო გურიელთა ძველი სასახლის ნაშთებზე რესტორან „იზაბელას“ მშენებლობა, ბულდოზერები მიუსიეს დროჟამთან ჭიდილში ქედუდრეკ სასახლის ნაშთებს და მიწასთან გაასწორეს იგი.

სასახლის ნგრევას რესტორნის მშენებლობა მოჰყვა, რესტორნის მშენებლობას ფრიად ყურადსაღები არქეოლოგიური მონაპოვრები. ძველი ციტადელის გალავანზე მორკინალი „ბულდოზერის“ რკინის სახნისი შეეხო ამ არეალში მამია მეხუთე გურიელის სასახლის ნაშთებზე უფრო ადრინდელ კულტურულ ფენას - გურიელთა სასახლის წიაღში გვიანანტიკური პერიოდის აბანოს ნაშთებმა იჩინა თავი. გულმოდგინებით აკვირდებოდა, რუდუნებით სწავლობდა აბანოს ამ საინტერესო ნაშთებს ქართულ სამყაროში პირველი არქეოლოგი ქალი, აწ განსვენებული ნინო ხოშტარია. მისი აღწერილობა გვაუწყებს:

„ქალაქ მახარაძეში 400 კვადრატულ მეტრზე აღმოჩნდა ძველი ნაგებობის ნაშთი. შენობის დათვალიერებამ ცხადყო, რომ საქმე გვაქვს ძველი აბანოს ნაშთებთან, რომლის მსგავსი ცნობილია საქართველოში ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან გვიანდელ დრომდე. ამ აბანოდან როგორც ჩანს, ყველაზე უკეთ შემორჩა ქვედა სართული - გასათბობი.

მიწის ზედაპირიდან კარგად ჩანს აბანოს ლუმელი თაღოვანი გადახურვით. თაღი აშენებულია რადიალურად დაწყობილი თხელი აგურისაგან, რომლებიც თეთრი შემაკავშირებელი ნივთიერებით არიან დაკავშირებული. ამ თაღის საფუძველი 2,8 მეტრს შეადგენს, წყობის სისქე - 65 სანტიმეტრს. ჩრდილოეთით ჩანს კედლის ნაგებობაში დატანებული თიხის მილები, რომელთა დიამეტრი 10-12 სანტიმეტრია. მილების შიგნითა ზედაპირი დაფარულია ჭვარტლით“.

აღმოჩენილია ქვის ფილებისაგან ქვედა სართულის გადახურვა, მეორე სართულის იატაკი. ქვის ფილების ზომაა 75-/35/10 სანტიმეტრი. ამ ფილების შიგნითა ნაწილი დაფარულია ჭვარტლით. ქვის ფილებიანი გადახურვა დაფუძნებულია ერთი მეტრის სიმაღლის სვეტებზე, რომლებიც თხელი აგურისაგან არიან აგებული (26X26) სანტიმეტრი და შეკავშირებულია ნივთიერებით, ამგვარი სვეტები ქვედა სართულზე როგორც ჩანს ბევრია.

ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მეორე იარუსში აღმოჩნდა საბაზანო იატაკი, რომლის ზედაპირი მოყვითალო-მოვარდისფრო ხსნარით არის დაფარული. ამ ადგილს უკავშირდება ჰორიზონტალური მილები. ნაგებობის ძირითად მასალასთან ერთად გამოყენებულია რიყის ქვა შემაკავშირებელი ნივთიერებით (სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში). ნაგებობაში გამოყენებულია ორი სახის შემაკავშირებელი ნივთიერება - თეთრი სილიანი და მოყვითალო-მოვარდისფრო. როგორც ჩანს ნაგებობა შემცველი იყო ქვის სვეტების, რასაც მოწმობს აქ არსებული ერთ-ერთი ფრაგმენტი.

ქ. მახარაძეში აღმოჩენილი აბანო, ისევე როგორც საქართველოში აღმოჩენილი სხვა აბანოები ორ იარუსიანია, ქვედა გასათბობი ადგილი და საბაზანო, როგორც უკვე ანიშნული იყო, ამ ტიპის აბანოები საქართველოში გვხვდება ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან დღემდე (არმაზის ხევი, ბიჭვინთა, კახეთი, დმანისი, ქვემო ჭალა, ახალციხე.)

ყოველივე ზემოაღნიშნული ოზურგეთის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩენილ ნაშთთა შესახებ — ნინო ხოშტარიასეული განსაზღვრება საფუძველს გვაძლევს ოზურგეთის სინამდვილეში საქალაქო ცხოვრების ნაკვალევის 2000 წლის წინარე პერიოდში არსებობის ვარაუდის შესახებ, რომლის სავალალო ნაშთებმა, ამ საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე 60-იან წლებამდე მოაღწია და იჩინა თავი.

მეხსიერებაში ცოცხლდება: ძველი კულტურის სახლისა და კაფე „მაიას“ შესაზღვრებაზე ბაგემდუმრად მდგარი „მრავლის მომსწრე და მნახავი“, ძალაყინის ძალუმი ცემით დანელებული და ქვის პერანგშემოფლეთილი ერთი პატარა კოშკი - უკანასკნელი ნაშთი გურიელთა ძველი და ზვიადი ციხის გოდოლ-ბურჯებისა, ადამიანთა უდარდელობამ რომ სამუდამოდ აღგავა პირისაგან მიწისა, „რესტორან იზაბელას“ მშენებლობის საკეთილდღეოდ.

**ენვერ გოგუაძე**

## სულთათანა

### ზურაბ მჟავანაძე



ჭანიეთში არ დაბადებულა, მაგრამ ფესვები აქ ედგა. თბილისში დაიბადა 1934 წელს. წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა, ასევე წარჩინებით-პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტი. რამდენიმე წელი, განაწილებით ტყვარჩელში იმუშავა თავისი სპეციალობით, შემდეგ თბილისის მეტროს მშენებლობის დაწყების დღიდან დამთავრებამდე, სამმართველოს მთავარ მარკშეიდერად. მუშაობდა.

ოცნებობდა მამისეულ სოფელში, რომელიც მეუღლის მშობლიური სოფელიც იყო, სახლი და ეზო-კარი ჰქონოდა. 90-იანი წლების უმძიმესი არეულობის პერიოდში, აქვე, სოფელში დასახლდა, რამდენიმე ხანში სამსახურის ძიებამ მოსკოვისკენ სავალ გზებზე შეაყენა და ჯერ მოსკოვის დიდი თეატრის სარესტავრაციო სამუშაოებზე გეოდეზისტად მუშაობდა, შემდეგ მოსკოვის მეტროს მშენებლობებზე, სადაც 15 წელი დაჰყო.

მისი პროფესია აბსოლუტურ სიზუსტეს მოითხოვდა. თავისი საქმის პროფესიონალს, უსიტყვოდ ენდობოდნენ პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით, ყველა სამუშაოს უზადოდ, ცდომილების გარეშე, მაღალკვალიფიციურად ასრულებდა.

ინტელექტით სავსე, მშვიდი, გაწონასწორებული, პატიოსნებითა და ერთგულებით გამორჩეული, ყოველთვის პატივისცემას იმსახურებდა. ლამაზი ოჯახის თავკაცი, ორი ვაჟის, რევაზისა და მამუკას ღირსეული მამა, რძლებისთვის თავაზიანი მამამთილი, მოსიყვარულე მეუღლე და შვილიშვილებისთვის უსაყვარლესი ბაბუა. უტყუარი და თბილი მეზობლებთან, ახლობლებთან ურთიერთობაში. ყველას ტკივილისა და სიხარულის გამზიარებელი. ასეთი იყო ზურაბ მჟავანაძე.

მშვიდად შეეგება გარდაცვალებას. ბოლომდე ოპტიმისტი იყო, 83 წლის ასაკში მიიხურა სიცოცხლის კარი და სამუდამო სამყოფელში გადაესახლა.

**ახლობლები**

### ამალია გობრონიძე-დონაძე



40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც დაგვტოვე და ჩვენს შორის აღარ ხარ. ბევრი მწუხარება გადაიტანე. დედით ობლები, პატარები გაგვზარდე და ცხოვრების გზაზე დაგვაყენე. შენ იყავი ჩვენი დედის მაგიერი. მადლობას გიხდით ყველაფრისთვის.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

**მარი მჟავია-გვიშიანი;**
**თაკო მჟავია-მუჯირი.**

### ნანული ერქომაიშვილი



კარგად ახსოვხარ 60-იანი წლების წითელმთიელ ახალგაზრდებს, როგორც მათი ღირსეული წინამძღოლი, სულითა და გარეგნობითაც ლამაზი ქალიშვილი.

შემოქმედის საშუალო სკოლის მოსწავლე, სანიმუშო იყავი სწავლასა და ყოფაქცევაში. უმაღლესი განათლება საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში მიიღე. სპეციალობით აგრონომი, სხვადასხვა დროს მუშაობდი წითელმთის კოლმეურნეობასა და შემოქმედის ჩაის ფაბრიკაში.

ამ თვეში დაბადებიდან 80 წელი შეგისრულდებოდა.

სანიმუშო მეუღლე, დედა და ბებია იქნებოდი, მაგრამ ბედმა ამის ბედნიერება არ გარგუნა —ყმაწვილქალობა და მთელი შენი ცხოვრება, მძიმე ტრავმის მიღების გამო, ძალიან გაგიმწარდა.

ალბათ, ამ გარემოებამ ყველსათვის განსაკუთრებულად დასანანი გახადა შენი ყოფა.

უპირველესად, რა თქმა უნდა, შინაურებს არ ავიწყდები, ნაცნობმეგობრებისათვისაც დაუვიწყარი ხარ. 13 წელია სამუდამოდ დაგვშორდი და გვჯერა, რომ ნათელში განისვენებ.

**ახლობლები და**
**უახლოესი მეგობრები.**

**უფასო განცხადება ტალონი**

*90 ბეჭვდითი ნიშანი უფასოდ!*

ძვირფასო მკითხველო, გაზეთი „ალიონი“ გთავაზობთ სერვისს „უფასო განცხადების ტალონი“, რომლის მოცულობა შეადგენს 90 ბეჭდვით ნიშანს და იგი თქვენი საჩუქარია.

90 ბეჭდვით ნიშანზე გადაცილებული ყოველი სიტყვისათვის გადასახდელი გექნებათ მხოლოდ 25 თეთრი.

გაზეთიდან ამოჭრილი და შევსებული ტალონი შეგიძლიათ წარმოადგინოთ რედაქციაში, გაბრიელ ეპისკოპოსის №3-ში.

უფასო განცხადების ტალონი ბეჭდვით მედიასაშუალებებში საქმიანი განცხადებების გამოქვეყნების ყველაზე იაფი საშუალებაა.

ისარგებლეთ ჩვენი მომსახურებით.

# გომისმთობა-2017 გაიმართა



13 აგვისტოს, კურორტ გომისმთაზე სახალხო დღესასწაული გომისმთობა-2017 გაიმართა.

გაიმართა ტრადიციული სპორტული ღონისძიებები, შეჯიბრებები ჭიდაობაში, ბაგირის გადაძალვაში, ფეხბურთში, ფრენბურთში, დოღში.

ფეხბურთის ფინალში სოფელ შემოქმედის გუნდმა თანასოფლელებს. გომის გუნდს სძლია და ჩემპიონი გახდა. ბაგირის გადაძალვაში უძლიერესები სოფელ შემოქმედის საჯარო სკოლის 132-ე გამოშვების კურსდამთავრებულები იყვნენ. ჭიდაობაში სამ სხვადასხვა კატეგორიაში ჩემპიონები გახდნენ გუგა ბოლქვაძე, გიორგი მჟავია, გოგიტა ზოიძე

საინტერესოდ წარიმართა ტურნირი ფრენბურთში, სადაც პირველობა არავის დაუთმეს გომისმთაზე ამოსული ტურისტების გუნდმა „ლიახვი“. ბექა მიროტაძე„ ბესარიონ გურამიშვილი, ლევან ნანობაშვილი, ზაზა ჯაში, ვეფხვია გაფრინდაშვილი. ისინი რამდენიმე დღის წინ ავიდნენ კურორტზე და კარვები გაშალეს.

—საუკეთესო ბუნებაა. აქედან არაერთ საინტერესო ადგილას შეიძლება იმოგზაურო, თუნდაც ჭვანას ხეობისაკენ. აქ ახალი მეგობრები გავიცანით, რომლებმაც სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა შემოგვთავაზეს. ჩვენ ფრენბურთი ავირჩიეთ და გავიმარჯვეთ. ძალიან გვიხარია.. აქედან ზღვაზე გადავინაცვლებთ —გვითხრა ბექა მიროტაძემ.

გომისმთობაზე, ტრადიციულად, გაიმართა დოღი, რომლის გამარჯვებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო კლუბის წარმომადგენელი თორნიკე თოდრია გახდა.

გამარჯვებულები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილე არჩილ ყაზაიშვილმა და მოადგილე გიორგი ღურჯუმელიძემ სიგელებით, თასებითა და პრიზებით დააჯილდოვეს.




სპორტული ღონისძიებების შემდეგ დამსვენებლების, ქართველი და უცხოელი ტურისტების წინაშე წარსდგნენ ქორეოგრაფიული ანსამბლი „ზენაარი“,ანსამბლი „შემოქმედი,“ ბენდი „მხედრები,“ სპეციალური მიწვევით თეატრალური კვარტეტი.

დასვენებლებს, სტუმრებს „გომისმთობის“ დღესასწაული მიულოცა ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ, არჩილ ყაზაიშვილმა.

# ნარუჯის „მგლების“ პირველი ნაბიჯები



ოზურგეთს დიდი საფეხბურთო ტრადიციები აქვს. თუ ოზურგეთის „მერცხალი“ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან იმჟამინდელი საკავშირო პირველობის ჯერ „ბ“ კლასში, შემდეგ მეორე ლიგაში ასპარეზობდა, წლების მანძილზე საქართველოს პირველობის პირველ ჯგუფში ასპარეზობდა ლაითურის „გიგანტი“; ასევე წარმატებით ასპარეზობდნენ საქართველოს პირველობის მე-2 მე-2 ჯგუფებში „ნარუჯა,“ „დვაბზუ,“ ნატანების „ნარინჯი,“ მელექედური და სხვა გუნდები. ეს გუნდები შევსებას ძირითადად ბავშვთა ფეხბურთიდან იღებდნენ.

ოზურგეთის ბავშვთა ფეხბურთის აღზრდილია საქართველოს ეროვნული ნაკრების შემტევი ვაკო ყაზაიშვილი.

ეს შესავალი იმიტომ გავაკეთეთ, რომ ბავშვთა ფეხბურთის განვითარების მნიშვნელობას გავუსვათ ხაზი და დაბა ნარუჯაში ბავშვთა ფეხბურთის პერსპექტივებზე ვისაუბროთ.

გასულ წელს ჩვენ გაზეთ „ალიონის“ ფურცლები რამდენჯერმე დავუთმეთ ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას და წარმატებებს დაბა ლაითურში, მაგრამ როგორც გავიგეთ, ოთხი თვის წინ გუნდი დაიშალა. თუ როგორც აღმოჩნდა გუნდის მწვრთნელი ლაითურიდან ნარუჯაში ამაზე გია ტულუშს ვესაუბრეთ;

—ბავშვთა ფეხბურთს ჩემს ცხოვრებაში მთავარი ადგილი უკავია. რა ხელისშემშლელი პირობები არ უნდა შემიქმნან, თავიდან დავიწყებ ყველაფერს. მე მადლობა მინდა გადავუხადო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ლაითურის ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენელს ემზარ ბერიძეს და ოზურგეთის საკრებულოს დეპუტატს რესან გაბაიძეს ყურადღებისათვის, მაგრამ იყო პიროვნება, რომელმაც ყველაფერი იღონა შენი ამდენი ნაშრომი ლაითურში წყალში ჩაეყარა...

—ნარუჯაში როგორ აღმოჩნდით?

— აკი გითხარით, მე ფეხბურთის გარეშე გაჩერება არ შემიძლია. 4 თვის წინ დაბა ნარუჯაში საფუძველი ჩავუყარე საფეხბურთო გუნდ „მგლებს,“ სადაც აქცენტი 2005-2006 და 2007-2008 წლებში დაბადებულ ბავშვებზეა აღებული. მათთან ერთად ვარჯიშობს სამი ლაითურელი: ძმები გიგა და გუჯა ნათიძეები და თორნიკე მახარაძე. ამ ეტაპზე გუნდში 18 ფეხბურთელია.

— როგორია პირველი შედეგები?

—17 ივნისს დაბა ნარუჯაში ჩატარდა აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული გიგლა გობელიშვილის ხსოვნის ტურნირი, სადაც ბავშვებმა დიდი გამოცდილება მიიღეს. „მგლები“ შემდეგ ქ. ბათუმში შეხვდა ვახტანგ ქაცარავას გუნდს და 4:1 დაამარცხა (გოლები: გიგა ნათიძე 3, გუჯა ნათიძე).

ამის შემდეგ მშობლების ხელშეწყობით, დაბა სურამში ათდღიანი შეკრება გავმართეთ და არაერთ გუნდთან გავმართეთ შეხვედრა.

სურამში „მგლებმა“ 9 შეხვედრა გამართა, საიდანაც 7 მატჩი მოიგო, ერთი ფრედ დაამთავრა და ერთში დამარცხდა.

პირველი შეხვედრა ნარუჯელმა ბავშვებმა ქართლის რეგიონის ერთ-ერთ უძლიერეს ხაშურის გუნდთან ითამაშეს და ფრე 3:3 დაამთავრეს (გოლები გიგა ნათიძე 3); შემდეგ სურამის მინი სტადიონზე 4 ამხანაგური შეხვედრა გამართეს სურამელებთან და ოთხივე მოიგეს (10:3, 10:2, 8:5, 11:5). გოლები გაიტანეს: გიგა და გუჯა ნათიძეები 8-8; ზურაბ გელაძე 7; ანრი დარჩიძე , საბა ბილვანიძე 5-5;ლერი გობაძემ 3; მიშა ბოლქვაძემ 2 და დიმა ხიმშიაშვილმა.

შემდეგი ორი მატჩი „მგლებმა“ თბილისის „გოლეადორთან“ გამართა და 4:1, 3:0 მოიგო. (გოლები: გიგა ნათიძე 3, გუჯა ნათიძე 2,დიმა ხიმშიაშვილი და თორნიკე მახარაძე).

ყველაზე რთული დაძაბული და დასამახსოვრებელი მაინც თენგიზ სულაქველიძის აკადემიის გუნდთან შეხვედრა იყო. ნარუჯელებმა ტოლი არ დაუდეს მათ და 4:1 გაიმარჯვეს. (გოლები: გუჯა ნათიძე, ზურა გელაძე 2-2).

შეკრების ბოლო შეხვედრა „მგლებმა“ რუსთავის გუნდთან წააგო. (გოლები: ლევან ტულუში 5, გიგა ნათიძე 2, ლადო ბოლქვაძე, საბა ბილვანიძე, აჩიკო დარჩიძე).

აქ გამოვყოფდი ნარუჯელთა 9 წლის მეკარე აჩიკო დარჩიძეს, რომელმაც 14 წლის რუსთაველთა მეკარეს ბურთი საკუთარი საჯარიმოდან გაუტანა.

ამ მატჩებში ნარუჯელმა ბავშვებმა 5 შეხვედრა მათზე ორი წლით უფროს ბავშვებთან გამართეს. ჩამოთვლილი გუნდების მწვრთნელები იყვნენ: თენგიზ სულაქველიძე (უმცროსი); მევლუდ ლომიძე„ ტატო წიკლაური..



სურამში მყოფ გუნდს საუკეთესო დახვედრა მოუწყო ვალერიან (კოტრიალა) ხარაზიშვილის ოჯახმა, ქალბატონმა მანანამ, რომებმაც ყველა პირობა შეუქმნეს ბავშვებს საუკეთესო დასვენებისა და ვარჯიშისათვის.

სურამიდან 16 ივლისს დავბრუნდით და მეორე დღეს ქ. ქობულეთში გავმართეთ ამხანაგური შეხვედრები აქ შეკრებაზე მყოფ გორის „დილას“ ბავშვთა გუნდთან. ორთავე შეხვედრა ფრედ 2:2 და 4:4 დასრულდა. (ნარუჯელთაგან გოლები: ზურა გელაძე, ლადო ბოლქვაძე, ლერი გობაძე, გიგა და გუჯა ნათიძეები).

—მომდევნო ტურნირებში როდის ჩაებმებით?

–„მგლები“ 25-29 აგვისტოს ქ. ხობში მონაწილეობას მიიღებს ნუგზარ ლომინჯავას ხსოვნის ტურნირში; 5-6 სექტემბერს დაბა ნარუჯაში გაიმართება გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელების ბორის პაიჭაძის და ბასა ღოღობერიძის ხსოვნის ტურნირი, სადაც 4 გუნდი გამოვა, ხოლო სექტემბრის შუა რიცხვებიდან „მგლები“ აჭარა-გურიის რეგიონალურ ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას.

— როგორ გეხმარებათ მუნიციპალიტეტი?

—ლაითურში მუშაობისას გუნდს დახმარებას უწევდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე, რომნელმაც გუნდი წარმატებული თამაშისათვის დააფინანსა ექსკურიით რაჭაში და 18 ცალი საფეხბურთო კომპლექტი შეუძინა. მაგრამ გუნდის დაშლის შემდეგ ეს კომპლექტი ლაითურის გამგებლის კაბინეტში დევს. ამჟამად „მგლები“ შეხვედრებისას ე.წ. „ნაკიტკებით“ გამოდიან. იმედი გვაქვს როგორც ხელისუფლების, ისე ადგილობრივი ბიზნესმენების მხარდაჭერის.

აქვე მინდა გაგაცნოთ გუნდის წევრები: ძმები აჩიკო და ანრი დარჩიძეები, გიგა და გუჯა ნათიძეები, ლუკა და ზურა კოჩალიძეები, შაკო და მიშა გორგაძეები; ვლადიმერ კაკაბაძე, ლერი გობაძე, დიმა ხიმშიაშვილი, თორნიკე მახარაძე,ზურა გელაძე, საბა ბილვანიძე, დათო მახარაძე, დემეტრე ცეცხლაძე, ნიკა ცენტერაძე, ლადო, მიშა, თორნიკე ბოლაქვაძეები, გურამ შავაძე.



# 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 21 აგვისტო ორშაბათი | 22 აგვისტო სამშაბათი | 23 აგვისტო ოთხშაბათი | 24 აგვისტო ხუთშაბათი | 25 აგვისტო პარასკევი | 26 აგვისტო შაბათი | 27 აგვისტო კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე, +21+31 | მზე, ღრუბელი +20+28 | ჭექა-ქუხილი +18+25 | წვიმა +17+22 | ღრუბელი +15+21 | მზე, ღრუბელი +15+21 | ღრუბელი +15+21 |